ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.01.19

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/19

შეკითხვა:

ადვოკატი არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის, რომელიც აგრეთვე, იურიდიულ მომსახურებას უწევს თავის კლიენტებს სამოქალაქო საქმეებზეც, როგორც ადვოკატი. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს უნდა შეეზღუდოს თუ არა იმ მიმართულებით მუშაობა, რაშიც ის არ არის სპეციალიზირებული?

ანალიზი:

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) – „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 – „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას უნდა ახორციელებდეს კვალიფიციურად. ადვოკატი ატარებს თავის პროფესიულ სტატუსს იმ მიმართულებით, რაშიც ის არის სპეციალიზირებული.

„ადვოკატს ევალება საკუთარი სტატუსის შესახებ ინფორმაციის ფლობა, გადამოწმება, ამის თაობაზე კლიენტის დროული ინფორმირება. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საკუთარი ინტერესების დასაცავად და თავიდან აირიდოს

ადვოკატის გარეშე საქმისწარმოების რისკი (ეთიკის კომისიამ 2014 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება - საქმე #052/13).

იურიდიული მომსახურების გაწევა არასპეციალიზაციის მიხედვით, არ წარმოადგენს პროფესიული ვალდებულებების დარღვევას, იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე ადვოკატი მიაწოდებს სრულყოფილ ინფორმაციას კონსულტაციის მიღების მსურველ პირს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, რამდენად მისაღები იქნება მისთვის არასპეციალიზირებული ადვოკატის იურიდიული მომსახურების მიღება. ადვოკატის მიერ კლიენტისთვის აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობა და შემდგომ, ადვოკატის სტატუსით იურიდიული მომსახურების განხორციელება იმ სფეროში, რომელშიც მას არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, წარმოადგენს ეთიკური ვალდებულების დარღვევას და არაკვალიფიციურ საქმიანობას.

დასკვნა:

ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად საქმიანობის განხორციელებაა, მათ შორის კონსულტაციის მიღების მსურველი პირისთვის მისი კვალიფიკაციის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რითიც თავიდან იქნება არიდებული ადვოკატის მიერ ეთიკური ვალდებულების დარღვევა.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.